ახალი წიგნები

რეცენზია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საინჟინრო ეკონომიკის დეპარტანეტის პროფესორის ტ. კიკვაძის, ასოცირებული პროფესორის თ. შაკიაშვილის და მოწვეული პროფესორის დ. გეგიას მიერ წარმოდგენილ ნაშრომზე: „ეკონომეტრიკის პრაქტიკუმი“

ეკონომეტრიკის კურსი აერთიანებს ეკონომიკის თეორიასა და სტატისტიკურ ანალიზს, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური პროცესების ეფექტური ანალიზსა და შედარებით მაღალი ხარისხის მქონე პროგნოზების განხორციელებას. შესაბამისად, ეკონომეტრიკის კურსის სწავლება სტუდენტებს ეკონომიკური მოვლენების უკეთ გაგების, ეკონომიკური მოდელების ადექვატური ანალიზისა და სწორი პროგნოზების გაკეთების შესაძლებლობას აძლევს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ნაშრომის (ეკონომეტრიკის პრაქტიკუმი) აქტუალურობა განპირობებულია იმით, რომ სავარჯიშო ამოცანათა უმრავლესობის შედგენისას გათვალისწინებულია პირობების ვარირების და დავალებების კომბინირების შესაძლებლობები, რაც სტუდენტებს დაეხმარება გამოიმუშავონ ეკონომეტრიკული კონცეფციების ანალიზის უნარ-ჩვევები კონკრეტული ამოცანების გამოყენებით და განიმტკიცონ თეორიული კურსის სწავლებისას მიღებული ფუნდამენტური ცოდნა.

აღსანიშნავია, რომ ეკონომეტრიკის პრაქტიკუმი წარმოადგენს ”ეკონომეტრიკის საფუძვლების” სახელმძღვანელოს (ავტორები ტ. კიკვაძე და თ. ბერიძე) დამატებას და მოიცავს კურსის ძირითადი თემების შესაბამის ამოცანებსა და სავარჯიშოებს. პრაქტიკუმის ამოცანაა, სტუდენტების მიერ, ეკონომეტრიკული მოდელების აგების, სპეციფიკაციისა და იდენტიფიკაციის, მოდელის პარამეტრების შეფასების, შედეგების ინტერპრეტაციისა და პროგნოზირების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

შესაბამისად, ძირითადი ტექსტი მოიცავს: წინასიტყვაობას, რვა თავს, ორ დანართსა და გამოყენებულ ლიტერატურას, რომლებშიც ავტორთა ჯგუფის მიერ განხილულია: მეთოდური მითითებები, სადაც მოყვანილია ძირითადი ცნებები, განმარტებები და ფორმულები; ტიპიური ამოცანების ამოხსნის მაგალითები; ტიპიური ამოცანების ამოხსნის კომპიუტერული რეალიზაციის პროცესის დეტალური აღწერა შესაბამისი პროგრამული პაკეტების გამოყენებით და დავალებები ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად; სავარჯიშო ამოცანები.

წარმოდგენილი „ეკონომეტრიკის პრაქტიკუმის“ პრაქტიკული მნიშვნელობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე, ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების ადექვატური ანალიზი, შესაბამისად ასეთი ანალიზის განხორციელებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტებისა და უნარების ფლობა, რასაც უზრუნველყოფს ეკონომეტრიკის თეოროიული და პრაქტიკული კურსები, წარმოადგენს შედარებით ზუსტი პროგნოზების განხორციელებისა და ადექვატური რეკომენდაციების შემუშავების აუცილებელ პირობას.

პროფესორის ტ. კიკვაძის, ასოცირებული პროფესორის თ. შაკიაშვილის და მოწვეული პროფესორის დ. გეგიას მიერ წარმოდგენილი „ეკონომეტრიკის პრაქტიკუმი“ პრაქტიკული მნიშვნელიბით პასუხობს მსგავსი ნაშრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და ხელს შეუწყობს ეკონომეტრიკის კურსის სიღრმისეულ სწავლებას.

ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი **დ. კვარაცხელია**